

# სამომხმარებლო შეთანხმება

## პლატფორმით სარგებლობის წესებსა და პირობებზე

წინამდებარე შეთანხმება განსაზღვრავს რეგისტრირებული მომხმარებლის მიერ პლატფორმის გამოყენების წესებსა და პირობებს.

პლატფორმაზე რეგისტრაციამდე, გთხოვთ, გაეცნოთ სამომხმარებლო შეთანხმებას:

### შესავალი

ამ პლატფორმის ([www.bizon.ge](http://www.bizon.ge)) მფლობელი და მმართველი არის შპს „ბიზონი“ (რეგისტრირებული საქართველოში, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, ს/კ 405348379 ).

- წინამდებარე წესებისა და პირობების შესაბამისად, პლატფორმის გამოყენების სრულ და უპირობო თანხმობად ითვლება პლატფორმაზე [www.bizon.ge](http://www.bizon.ge) რეგისტრაცია და პროფილის შექმნა.
- ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება პროფილის შექმნიდან პროფილის გაუქმებამდე პერიოდით.
- მომხმარებლის მიერ რეგისტრაციის გავლა ნიშნავს, რომ ის ეთანხმება ამ ხელშეკრულების პირობებს და ვალდებულია, განუხრელად დაიცვას ყველა ქვემოთ ხსენებული პირობა, რომლითაც რეგულირდება ვებგვერდით სარგებლობა.
- იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი არ ეთანხმება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, არ უნდა დარეგისტრირდეს პლატფორმაზე ან/და დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს ვებგვერდით სარგებლობა და მოახდინოს/მოითხოვოს პლატფორმის ადმინისტრაციისგან რეგისტრაციის გაუქმება.

### ტერმინთა განმარტება

**პლატფორმა** - ინტერნეტ-რესური [www.bizon.ge](http://www.bizon.ge)

**შუამავალი** - იგივე პლატფორმა/რესურსი [www.bizon.ge](http://www.bizon.ge)-ს მფლობელი შპს „ბიზონი“ (ს/კოდი: 405348379).

**რეგისტრირებული მომხმარებელი** - იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც რეგისტრირებულია პლატფორმაზე, შემსყიდველის, მიმწოდებლის ან/და სტატუსით, გააჩნია უნიკალური მომხმარებლის სახელწოდება და პაროლი.

**მიმწოდებელი** - იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც რეგისტრირებულია, თავისი პროდუქციის პლატფორმაზე ელექტრონულად განთავსების შემდეგ, პლატფორმის მეშვეობით, შუამავლის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, მის მიერ განთავსებული პროდუქციის შემდგომი რეალიზაციის/იჯარის ფორმით გაცემის მიზნით.

**შემსყიდველი** - იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც რეგისტრირებულია, პლატფორმაზე განთავსებული პროდუქციის, შუამავლის მეშვეობით, მის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, შესყიდვის/იჯარით მიღების მიზნით.

**ანალიტიკური პაკეტების გამომწერი-** ფიზიკური/ იურიდიული პირი, რომელიც რეგისტრირებულია პლატფორმაზე ანალიტიკური პაკეტების სარგებლობის მიზნით.

**პლატფორმაზე განთავსებული პროდუქცია** - მიმწოდებლის მიერ პლატფორმაზე განთავსებული პროდუქცია, მისი რეალიზაციის ან იჯარის ფორმით გაცემის მიზნით.

**რეგისტრაციის განაცხადი** - რეგისტრაციის მსურველი იურიდიული / ფიზიკური პირის მიერ შევსებული ინფორმაციული ველების ერთობლიობა, რომლებიც სისტემატიზირებულად გადაეცემა პლატფორმის ადმინისტრაციას პლატფორმაზე მომხმარებლად რეგისტრაციის მიზნით.

**პლატფორმის ადმინისტრაცია** - სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები, რომლებიც ახორციელებენ პლატფორმის რესურსების მართვას და მომსახურებას უწევენ პლატფორმის მომხმარებლებს, პლატფორმის გამოყენების ფარგლებში.

**პლატფორმის მომსახურება** - მომსახურება, რომელსაც შუამავალი სთავაზობს პლატფორმის რეგისტრირებულ მომხმარებლებს და რომლის მიღებას რეგისტრირებული მომხმარებელი შეძლებს პლატფორმაზე დარეგისტრირების შემდეგ.

**შეკვეთის უნიკალური კოდი** - უნიკალური კოდი, რომლითაც ხდება შემსყიდველის მიერ განხორციელებული შეკვეთის იდენტიფიცირება მიმწოდებლისგან მომსახურების მიღების მიზნით. ეს კოდი ფიქსირდება მომხმარებლის პროფილში და ინახება (არქივდება), აგრეთვე, რეგისტრირებული მომხმარებლის შეკვეთების ისტორიაში.

**მომხმარებლის პროფილი** - ინფორმაციის ერთობლიობა, რომლითაც ხორციელდება რეგისტრირებული მომხმარებლის იდენტიფიცირება.

**შეკვეთის თვალთმაქცური გაუქმება** - შეკვეთის გაუქმება იმ მიზნით, რომ მოხდეს შუამავლისთვის დადებული გარიგების ინფორმაციის დამალვა.

## **1. ზოგადი დებულებები**

- 1.1. წინამდებარე წესები და პირობები არეგულირებს ამ პლატფორმის გამოყენებას. პლატფორმაზე რეგისტრაციით/მისი გამოყენებით მომხმარებელი სრულად ეთანხმება წინამდებარე წესებსა და პირობებს. კომპანიას უფლება აქვს, ნებისმიერ დროს უარი უთხრას მომხმარებელს პლატფორმით სარგებლობაზე, მათ შორის, შეთანხმების პირობების დარღვევის შემთხვევაში,
- 1.2. პლატფორმაზე ანალიტიკური პაკეტების გამომწერის სტატუსით დარეგისტრირებული მომხმარებლის მიერ, ანალიტიკური პაკეტების სისტემით სარგებლობა ხდება პლატფორმის ადმინისტრაციის მიერ დადგენილი წესებისა და პირობების შესაბამისად.
- 1.3. თუ მომხმარებელი არ ეთანხმება წინამდებარე წესებსა და პირობებს, არ უნდა დარეგისტრირდეს პლატფორმაზე ან არ უნდა გააგრძელოს პლატფორმის გამოყენება და მოითხოვოს (პლატფორმის ადმინისტრაციისგან) პლატფორმაზე რეგისტრაციის გაუქმება;
- 1.4. პლატფორმის გამოყენების უფლება აქვს საქართველოს ან ნებისმიერი სხვა ქვეყნის შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე რეგისტრირებულ იურიდიული ან ფიზიკური პირს, რომელიც პლატფორმაზე რეგისტრაციის შედეგად იძენს პლატფორმის რეგისტრირებული მომხმარებლის სტატუსს;
- 1.5. პლატფორმის ადმინისტრაციას აქვს ამ წესების და პირობების შეცვლის უფლება. პლატფორმის ადმინისტრაცია, წინამდებარე წესებსა და პირობებში ცვლილების/დამატებების შეტანისას, უზრუნველყოფს, ყოველი რეგისტრირებული

მომხმარებლის პროფილში შესვლისას, ცვლილებების/დამატებების შესახებ ინფორმირებასა და რეგისტრირებული მომხმარებლის პროფილიდან მათი გაცნობისა და მათზე დათანხმების შესაძლებლობას. მომხმარებლის მხრიდან ცვლილებების არდათანხმების შემთხვევაში, პლატფორმის ადმინისტრაცია უფლებამოსილია, უარი უთხრას მომხმარებელს პლატფორმის მოხმარებაზე და გააუქმოს მისი რეგისტრაცია;

1.6. აღნიშნული პლატფორმის გამოყენების წესები და პირობები ძალაში შედის პლატფორმაზე რეგისტრაციისთანავე და ძალაშია მანამ, სანამ რეგისტრირებული მომხმარებელი სარგებლობს პლატფორმით ან/და არის დარეგისტრირებული პლატფორმაზე.

## **2. პლატფორმით სარგებლობის წესები**

- 2.1. პლატფორმის რესურსებით სარგებლობა ხდება პლატფორმაზე მომხმარებლად - მიმწოდებლად ან/და შემსყიდველად რეგისტრაციის გზით;
- 2.2. ერთ მომხმარებელს აქვს უფლება, იქონიოს მხოლოდ ერთი მომხმარებლის პროფილი;
- 2.3. რეგისტრირებული მომხმარებელი ვალდებულია, დაიცვას საავტორო უფლებები პლატფორმის მეშვეობით მოპოვებული ნებისმიერი მასალისა და ინფორმაციის მიმართ. საავტორო უფლებების დარღვევის შემთხვევებზე მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება დამრღვევ პირს;
- 2.4. რეგისტრირებული მომხმარებელი ვალდებულია უზრუნველყოს თავისი მომხმარებლის პროფილის უსაფრთხოება და მომხმარებლის უნიკალური სახელისა და პაროლის საიდუმლოება. მის პროფილზე არასანქცირებული შეღწევის შემთხვევაში მიყენებულ ზიანზე პლატფორმის ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს;
- 2.5. აკრძალულია მომხმარებლის პროფილის სხვა პირისთვის სარგებლობაში გადაცემა, ან ერთი პროფილით რამდენიმე მომხმარებლის სარგებლობა. მოცემულ შემთხვევებში, ადმინისტრაცია უფლებას იტოვებს, გაფრთხილების გარეშე შეაჩეროს პროფილით სარგებლობა, დროებით ან უვადოდ;
- 2.6. ურთიერთობები, რომლებიც დაკავშირებულია პლატფორმის მომხმარებლის ინფორმაციის შეგროვებასთან, შენახვასა და გავრცელებასთან რეგულირდება წინამდებარე წესებითა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## **3. რეგისტრაცია პლატფორმაზე**

- 3.1. პლატფორმაზე რეგისტრაციის მიზნით, რეგისტრაციის მსურველი იურიდიული პირი/ფიზიკური პირი ავსებს ონლაინ რეგისტრაციის ფორმას.
- 3.2. პლატფორმაზე შესვლითა და სარეგისტრაციო ფორმის შევსებით, რეგისტრაციის მსურველი ადასტურებს, რომ მის მიერ რეგისტრაციის ფორმის შევსების დროს პლატფორმის ადმინისტრაციისთვის წარმოდგენილი ინფორმაცია არის უტყუარი და ზუსტი, რეგისტრაციის შემდგომშიც პლატფორმის ადმინისტრაციისთვის მიწოდებული ან/და პლატფორმაზე მის მიერ (რეგისტრირებული მომხმარებლის მიერ) განთავსებული ან განსათავსებლად პლატფორმის ადმინისტრაციისთვის გადაცემული ნებისმიერი ინფორმაცია/მონაცემები, ასევე, იქნება ზუსტი და უტყუარი. პლატფორმის ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს რეგისტრირებული მომხმარებლის მიერ განზრახ არასწორი/არაზუსტი ინფორმაციის წარდგენისთვის;

- 3.3. წინამდებარე წესებისა და პირობების დარღვევის შემთხვევაში, პლატფორმის ადმინისტრაციის მხრიდან, შესაძლებელია, მოხდეს რეგისტრირებული მომხმარებლის რეგისტრაციის შეჩერება ან გაუქმება, რეგისტრირებული მომხმარებლის წინასწარ, მინიმუმ 5 სამუშაო დღით ადრე, გაფრთხილების შემდეგ. რეგისტრაციის შეჩერება ან გაუქმება არ ახდენს გავლენას რეგისტრირებული მომხმარებლის მიერ რეგისტრაციის პერიოდში წინამდებარე პლატფორმიდან წარმოშობილ უფლებება-მოვალეობებზე, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობაზე.
- 3.4. პლატფორმაზე რეგისტრაციით რეგისტრირებული მომხმარებელი იძენს უფლებას:
- 3.4.1. განათავსოს კომპანიის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია პლატფორმაზე;
  - 3.4.2. განათავსოს თავისი პროდუქციის შესახებ დეტალური ინფორმაცია, პროდუქციის მახასიათებლების, სურათების, სერტიფიკატების და სხვა ინფორმაციის ჩათვლით;
  - 3.4.3. განახორციელოს პლატფორმის მეშვეობით, პლატფორმაზე განთავსებული პროდუქციის ყიდვის, გაყიდვის ან იჯარის ფორმით აღების ოპერაციები, წინამდებარე წესების შესაბამისად;
- 3.5. პლატფორმის რეგისტრირებული მომხმარებლის პერსონალური მონაცემები კონფიდენციალურია. კონფიდენციალობისა და მონაცემთა უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს პლატფორმის ადმინისტრაცია, პლატფორმის უსაფრთხოების სისტემების მეშვეობით; თუმცა პლატფორმის ადმინისტრაცია ვერ იქნება პასუხისმგებელი პლატფორმაზე არასანქცირებული შეღწევის ან/და პლატფორმაზე განხორციელებული კიბერშეტევის შემთხვევებზე, აგრეთვე, სხვა ისეთ შემთხვევებზე, რაც პლატფორმის ადმინისტრაციის კონტროლის მიღმაა.
- 3.6. პლატფორმაზე განთავსებული ნებისმიერი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება რეგისტრირებულ მომხმარებელს და მათზე შუამავალი არ აგებს პასუხს.

#### **4. შუამავალი**

- 4.1. შუამავალი ახორციელებს საშუამავლო საქმიანობას პლატფორმის რეგისტრირებულ მომხმარებლებს შორის; კერძოდ, უზრუნველყოფს პლატფორმაზე რეგისტრაციის მსურველის მიმწოდებლად, შემსყიდველად. ერთი მხრივ, საშუალებას აძლევს მიმწოდებლებს პლატფორმაზე ელექტრონულად წარმოადგინონ საკუთარი პროდუქცია (დეტალური მახასიათებლებით) და მომსახურების პირობები და მეორე მხრივ, უზრუნველყოფს შემსყიდველთათვის პლატფორმის მეშვეობით სასურველი პროდუქციის შესყიდვის/იჯარით მიღების შესაძლებლობას. აგრეთვე, პლატფორმის რეგისტრირებულ მომხმარებელთათვის პლატფორმის მეშვეობით კომერციული რეკლამის განთავსების შესაძლებლობას; პლატფორმაზე განსათავსებელი ინფორმაცია და რეკლამა უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას. შუამავალი უფლებამოსილია ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე პლატფორმიდან ამოიღოს კანონმდებლობის დარღვევით და/ან დადგენილი აკრძალვების უგულვებელყოფით განთავსებული ინფორმაცია და რეკლამა.
- 4.2. შუამავალი, ასევე, უფლებამოსილია, შემსყიდველის მიერ მიმწოდებელთან პლატფორმის შუამავლობით შესაძენ/იჯარით მისაღებ პროდუქტზე მოთხოვნის განხორციელებისთანავე,

ავტომატურად მიანიჭოს მოთხოვნას უნიკალური კოდი, რომელიც ავტომატურად აესახება ბაზაში როგორც მიმწოდებელს, ასევე, შემსყიდველს;

- 4.3. პლატფორმის მეშვეობით განხორციელებული შესყიდვისას/იჯარით მიღებისას, ნასყიდობის/იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სახელშეკრულებო უფლებები და მოვალეობები წარმოიშობა მხოლოდ მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის. შუამავალი არ არის პასუხისმგებელი მხარეთა მიერ ვალდებულებათა კეთილსინდისიერ და ჯეროვან შესრულებაზე, აგრეთვე, წარმოდგენილი პროდუქციის ხარისხსა და სხვა პირობების დარღვევით გამოწვეულ ზიანზე;
- 4.4. პლატფორმის რეგისტრირებულ მომხმარებელს, შუამავლის (პლატფორმის) მეშვეობით განხორციელებულ შესყიდვასთან/იჯარის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, ყველა პრეტენზია შეუძლია პირდაპირ წარუდგინოს მეორე მხარეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. აგრეთვე, პლატფორმის შესაბამისი ფუნქციის მეშვეობით მიაწოდოს შუამავალს ინფორმაცია თავისი პრეტენზიის (უკმაყოფილების) შესახებ.

## **5. პლატფორმა და მისი მომსახურება**

- 5.1. პლატფორმა უზრუნველყოფს დამოუკიდებელ ონლაინ მომსახურებას, რომელიც შესაძლებლობას აძლევს რეგისტრირებულ მომხმარებლებს, ერთი მხრივ, როგორც მიმწოდებელმა განათავსონ პლატფორმაზე მათი კომპანიისა და პროდუქციის შესახებ დეტალური ინფორმაცია - პროდუქტის დეტალური აღწერის, ნახაზების, პროდუქტის ხარისხის სერტიფიკატების, სურათების და სხვა პროდუქტთან დაკავშირებული ინფორმაციის ჩათვლით, პლატფორმის მეშვეობით მისი შემდგომი რეალიზაციის/იჯარით გაცემის მიზნით და მეორე მხრივ, როგორც შემსყიდველმა მოახდინოს პლატფორმაზე ხელმისაწვდომი პროდუქციის შესახებ ინფორმაციის მოძიება და მისი შემდგომი შესყიდვა/იჯარის ფორმით მიღება კონკრეტული მიმწოდებლისგან, წინამდებარე წესებისა და პირობების დაცვით;
- 5.2. პლატფორმაზე რეგისტრაცია, პროფილისა და პროდუქციის განთავსება არის უფასო. რეგისტრაცია არის წინაპირობა იმის, რომ რეგისტრირებულ მომხმარებელს მიეცეს პლატფორმაზე წვდომისა და მისი მომსახურებით სარგებლობის უფლება;
- 5.3. პროდუქტის შესახებ შეკვეთის განხორციელების მტკიცებულებას წარმოადგენს შეკვეთის უნიკალური კოდი, რომელიც შემსყიდველს და მიმწოდებელს, როგორც რეგისტრირებულ მომხმარებლებს, უფიქსირდებათ პროფილის მიმდინარე შესყიდვებში/გაყიდვებში. კონკრეტული პროდუქციის შეკვეთის შესახებ სხვა რაიმე მტკიცებულება არ განიხილება. სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ძირითადი პირობები (როგორცაა ვალდებულების შესრულების დრო, მიწოდების ადგილი, ანგარიშსწორების პირობები და სხვა) დამოკიდებულია შეკვეთის პროცესში მხარეთა შეთანხმებაზე. შეთანხმება ხორციელდება პლატფორმის შესაბამისი ფუნქციების მეშვეობით და შუამავალი აღნიშნულ პირობების მხარეთა შორის შეთანხმების პროცესში არ ერევა;
- 5.4. კონკრეტულ მიმწოდებელს უფლება აქვს, განათავსოს შეუზღუდავი რაოდენობის პროდუქცია, პროდუქტის კონკრეტული მახასიათებლებისა და ფოტოსურათების ჩათვლით. მეორე მხრივ, შემსყიდველი არ არის შეზღუდული შესყიდვის ზედა ან ქვედა ზღვრით და უფლება აქვს, განახორციელოს ნებისმიერი ოდენობისა და ღირებულების შესყიდვა;

- 5.5. პლატფორმაზე პროდუქციის შესახებ განთავსებული ნებისმიერი ინფორმაცია განთავსებულია თავად მიმწოდებლის მიერ (საკუთარი პროფილის მეშვეობით) ან მიმწოდებლისგან მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით (პლატფორმის ადმინისტრაციის შესაბამისი სპეციალისტის მიერ);
- 5.6. მიმწოდებლის მიერ თავისი პროდუქციის შესახებ პლატფორმის მეშვეობით ინფორმაციის განთავსებისას, პლატფორმის ადმინისტრაციის მიერ ხდება განსათავსებელი ინფორმაციის ფორმალური გამართულობის გადამოწმება და მხოლოდ შემდეგ განთავსდება პლატფორმაზე;
- 5.7. პლატფორმის მეშვეობით ნებისმიერი შესყიდვის (იჯარის ფორმით მიღების) ოპერაციის განხორციელებისას, პროდუქციის ფასის, ხარისხის, რაოდენობის, მიწოდების ვადების, ანგარიშსწორების პირობების შეთანხმება ხდება მხარეთა შორის დამოუკიდებლად, შუამავლის გარეშე (პლატფორმის შესაბამისი ფუნქციების გამოყენებით) და მოცემული ინფორმაცია კონფიდენციალურია. კონფიდენციალობისა და მონაცემების უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს პლატფორმის ადმინისტრაცია, პლატფორმის უსაფრთხოების სისტემების მეშვეობით;
- 5.8. ნებისმიერი პროდუქციის ფასი რომელიც მოცემულია პლატფორმაზე და განთავსებულია კონკრეტული პროდუქციისთვის, ასახავს იმ ფასებს, რომლებსაც პროდუქტის განმათავსებელი (მიმწოდებელი) თავად აწესებს განთავსების დროს. მას თავად აქვს შესაძლებლობა, მუდმივად განაახლოს პროდუქტისა და ფასების შესახებ ინფორმაცია; ფასები მოცემული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

## **6. პლატფორმის ნებადართული გამოყენება**

- 6.1. პლატფორმის ადმინისტრაცია დამოუკიდებლად მართავს პლატფორმას, განსაზღვრავს მის დიზაინს და პლატფორმით სარგებლობის წესებს. პლატფორმის მომხმარებლებს ნება ეძლევათ, რომ შევიდნენ პლატფორმაზე, ხოლო პლატფორმის რეგისტრირებულ მომხმარებლებს ნება ეძლევათ შევიდნენ პლატფორმაზე და გამოიყენონ მისი რესურსები. პლატფორმაზე შესვლა და მისი გამოყენება უკანონო კომერციული საჭიროებებისათვის მკაცრად იკრძალება, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 6.2. აკრძალულია პლატფორმის გამოყენება:
- 6.2.1. ნებისმიერი უკანონო, თაღლითური კომერციული მიზნებისთვის;
  - 6.2.2. სხვისი კანონიერი ინტერესების დაზიანების, კონფიდენციალურობის დარღვევის ან არაზუსტი, არაადეკვატური, მიუღებელი, დისკრიმინაციული ან მავნე ქმედების განხორციელების მიზნით;
  - 6.2.3. სხვისი მონაცემთა ბაზის/ჩანაწერების შექმნის, შემოწმების, დადასტურების, განახლების მიზნით;
  - 6.2.4. პლატფორმის რომელიმე ნაწილის შესწორების, შეცვლის ან დაპროექტების მიზნით;
  - 6.2.5. პლატფორმის ტექნიკური და საკომუნიკაციო საშუალებების დაზიანების მიზნით;
  - 6.2.6. საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული სხვა უკანონო მიზნებისთვის.

## **7. წვდომა პლატფორმაზე**

- 7.1. აღნიშნული პლატფორმით სარგებლობის წესები და პირობები ძალაში შედის პლატფორმაზე რეგისტრაციისთანავე და ძალაშია პლატფორმაზე მომხმარებლის რეგისტრაციის მთელი პერიოდის განმავლობაში;
- 7.2. შუამავალსა და პლატფორმის რეგისტრირებულ მომხმარებელს შორის ადგილი არ აქვს რაიმე სახის ექსკლუზიურ შეთანხმებას. შუამავალი უფლებამოსილია, მსგავსი ან/და სხვა საშუამავლო ხელშეკრულება გააფორმოს ნებისმიერ პირთან, მათ შორის, რეგისტრირებული მომხმარებლის კონკურენტებთან.
- 7.3. პლატფორმის რეგისტრირებულ მომხმარებელს პლატფორმაზე წვდომა უწყდება რეგისტრაციის გაუქმების გზით. რეგისტრირებულ მომხმარებელს აქვს პლატფორმაზე რეგისტრაციის შეწყვეტის მოთხოვნის უფლება პლატფორმის ადმინისტრაციისთვის სულ მცირე 5 სამუშაო დღით ადრე წინასწარი შეტყობინების წესით.

## **8. ბმულები სხვა ვებგვერდებთან, კომერციული რეკლამები და სხვა სახის შეტყობინებები**

- 8.1. პლატფორმის რეგისტრირებული მომხმარებელი თანახმაა, რომ რეგისტრაციის გავლის შემდეგ, მის ელ. ფოსტაზე და მობილურ ტელეფონზე შუამავლის მიერ გაიგზავნოს წერილები და შეტყობინებები, მათ შორის, სარეკლამო ხასიათის;
- 8.2. პლატფორმით სარგებლობისას, შესაძლოა, ბმულების გამოყენებით, პლატფორმის რეგისტრირებული მომხმარებელი ესტუმროს ისეთ ვებგვერდებს, რომლებიც არ განეკუთვნება პლატფორმის მომსახურებას და მათ ოპერირებას მესამე პირები ახდენენ. ასეთი პლატფორმები ადმინისტრაციის კონტროლის ქვეშ არ იმყოფება და პლატფორმის ადმინისტრაცია ასეთ პლატფორმებზე ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე, პროგრამულ უზრუნველყოფაზე ან/და სხვა სახის მასალებზე არ არის პასუხისმგებელი;
- 8.3. პლატფორმაზე შემოთავაზებული სარეკლამო ბანერები, კომერციული შინაარსის ვიზუალური კონტენტი ან ბმულები, რომლებიც დაკავშირებულია მესამე პირების ვებგვერდებთან, არ უნდა განიმარტოს როგორც პლატფორმის ადმინისტრაციის მიერ, ამ ვებგვერდებზე ან/და კომერციული კონტენტით ან მათი მეშვეობით შემოთავაზებულ პროდუქტების, მომსახურებების ან ინფორმაციისთვის რეკომენდაციის გაწევა. აღნიშნული ბმულების ან/და კომერციული კონტენტის გამოყენებისას, რეგისტრირებული მომხმარებელი მოქმედებს მხოლოდ მისი რისკით და ადმინისტრაცია არ იღებს არანაირ ვალდებულებას ან პასუხისმგებლობას აღნიშნული ვებგვერდების ან/და კომერციული კონტენტის შემცველობაზე, გამოყენებაზე ან ხელმისაწვდომობაზე;
- 8.4. თუ პლატფორმის რეგისტრირებული მომხმარებელი გადაწყვეტს ისეთ ვებგვერდზე ან/და კომერციულ კონტენტზე გადასვლას, რომელიც ადმინისტრაციის კონტროლს არ ექვემდებარება, პლატფორმის ადმინისტრაცია არ აძლევს არანაირ გარანტიას, პირდაპირს თუ ნაგულისხმევს, ასეთი ვებგვერდის ან/და კომერციული კონტენტის გამოყენებასთან ან გამოყენების შეუძლებლობასთან დაკავშირებით, ვებგვერდის ან/და კომერციული კონტენტის შემცველობასთან დაკავშირებით, მათ შორის მის სისწორესთან, სისრულესთან, სანდოობასთან ან რაიმე კონკრეტული მიზნით ვარგისიანობასთან დაკავშირებით.

## **9. ინტელექტუალური საკუთრების უფლება**

- 9.1. პლატფორმაზე განთავსებული ინფორმაცია და შემცველობა (კონტენტი), საქართველოში მოქმედი საავტორო და ინტელექტუალური საკუთრების სამართლის ნორმების შესაბამისად, დაცულია ინტელექტუალური საკუთრების უფლებებით (საავტორო უფლებები და სავაჭრო ნიშნები). აკრძალულია ამ ვებგვერდის შემცველობის უნებართვოდ მთლიანად ან ნაწილობრივ გამოქვეყნება, რეპროდუცირება, გადაცემა ან შენახვა ან/და ნებისმიერ ისეთი ქმედების განხორციელება, რაც გამოიწვევს საავტორო უფლებების დარღვევას. აკრძალვა არ ეხება რეგისტრირებული მომხმარებლის მიერ პლატფორმითა და მისი კონტენტით სარგებლობას, რისი უფლებაც მას ენიჭება პლატფორმაზე რეგისტრაციის გზით;
- 9.2. აკრძალულია კონტენტის მთლიანად ან ნაწილობრივ გამოქვეყნება, რეპროდუცირება, დისტრიბუცია, მოდიფიცირება, გარდაქმნა, გადაცემა, შენახვა ან ნებისმიერი სხვა ფორმითა და საშუალებით ექსპლოატაცია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ადმინისტრაციის მიერ გაიცა წინასწარი თანხმობა ან ნებართვა, მსგავსი შინაარსის ქმედების შესრულებაზე;
- 9.3. თუ რეგისტრირებული მომხმარებელი თვლის, რომ მისი სასაქონლო ნიშანი ან ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი პლატფორმის ადმინისტრაციის მიერ გამოყენებულია იმგვარად, რომ ასეთი გამოყენება, შესაძლოა, ჩაითვალოს საავტორო უფლების ხელყოფად, რეგისტრირებულ მომხმარებელს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს შესაძლებლობა აქვს, ასეთი ფაქტის შესახებ დაუკავშირდეს პლატფორმის ადმინისტრაციას და მიაწოდოს ინფორმაცია, სადაც აღწერს საავტორო უფლების დარღვევის ხასიათს და მიაწოდოს ინფორმაციას საავტორო უფლების ობიექტზე და მის ავტორზე;
- 9.4. პლატფორმაზე არსებული ნებისმიერი ინფორმაციის ასლის გაკეთებისას დაცული უნდა იყოს საავტორო უფლება ან ინტელექტუალური საკუთრების უფლება. არ უნდა იქნას შეცვლილი ეგზემპლარში ინფორმაცია, ტექსტი ან მონაცემები. ინფორმაცია არ უნდა გაიყიდოს ან გადაეცეს მესამე პირს.

## **10. შუამავლის მომსახურების საკომისიო**

- 10.1. ამ ეტაპზე პლატფორმით მომსახურება უფასოა, მომსახურების საფასურის ცვლილების შესახებ პლატფორმის ადმინისტრაცია ინფორმაციას მიაწოდებს მომხმარებელს, პროფილის გვერდზე, შეტყობინების გზით, ან სხვა საშუალებით.

## **11. შეკვეთის გამოუყენებლობა და გაუქმება**

- 11.1. პლატფორმის ადმინისტრაცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პლატფორმის მეშვეობით შექმნილი/ იჯარის ფორმით აღებული პროდუქციისა და რეგისტრირებული მომხმარებლის მხრიდან ვალდებულებათა შესრულების ხარისხს, როგორც შემსყიდველის, აგრეთვე, მიმწოდებლის ინტერესებისთვის. პლატფორმის რეგისტრირებულ მომხმარებელს, პლატფორმის შესაბამისი ფუნქციის მეშვეობით, აქვს შესაძლებლობა, შეაფასოს ყოველი კონკრეტული შეკვეთა და მეორე მხარის მიერ ვალდებულებათა შესრულების ხარისხი;
- 11.2. შეკვეთის განხორციელებისას, შემსყიდველი უთითებს მისთვის სასურველი პროდუქციის რაოდენობას, მიწოდების დროსა და შესყიდვის სხვა არსებით პირობებს. მხარეთა შორის შესყიდვის (იჯარის) ფასსა და ზემოაღნიშნულ პირობებზე შეთანხმება, რაც საბოლოოდ ფიქსირდება პლატფორმის ბაზაში, წარმოადგენს ნასყიდობის/იჯარის ხელშეკრულების

არსებით პირობებზე შეთანხმებას და შესყიდვა/გაყიდვის (იჯარით მიღების) ოპერაცია მიიჩნევა წარმატებით განხორციელებულად;

- 11.3. შემსყიდველს, უფლება აქვს, მოახდინოს მიმდინარე შეკვეთის გაუქმება პლატფორმის მეშვეობით, სპეციალურ ველში გაუქმების მიზეზის მითითებით;
- 11.4. დაუშვებელია მხარეთა შეთანხმებით პლატფორმის მეშვეობით განხორციელებული შეკვეთის თვალთმაქცური გაუქმება. თვალთმაქცური გაუქმების ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, პლატფორმის ადმინისტრაცია უფლებამოსილია, შეაჩეროს, ან შეწყვიტოს მომხმარებლის რეგისტრაცია. პლატფორმის მეშვეობით განხორციელებული შეკვეთის სისტემატურად თვალთმაქცური გაუქმების თავიდან აცილების მიზნით, პლატფორმის თითოეულ რეგისტრირებულ მოხმარებელს (შემსყიდველს) უფლება აქვს, მოახდინოს პლატფორმის მეშვეობით განხორციელებული შეკვეთის, პლატფორმის სპეციალური ველის მეშვეობით, თვის განმავლობაში მხოლოდ 5-ჯერ გაუქმება. სხვა შემთხვევაში უნდა მოხდეს პლატფორმის ადმინისტრაციისთვის მიმართვა შეკვეთის გაუქმების მიზნით. შეკვეთის გაუქმების საფუძვლიანობის მტკიცებისა და დასაბუთების ტვირთი, პლატფორმის ადმინისტრაციის წინაშე, აქვს გაუქმების ინიციატორ სუბიექტს;
- 11.5. პლატფორმის რეგისტრირებული მომხმარებლის მიერ მიმდინარე შეკვეთის გაუქმება ხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც პლატფორმაზე განხორციელდება გაუქმების მოთხოვნა. ნებისმიერი სხვა საშუალება (სატელეფონო ზარი შუამავალთან, სატელეფონო ზარი გამყიდველთან/შემსყიდველთან, შეტყობინება ელ. ფოსტის საშუალებით და სხვა) შეკვეთის გასაუქმებლად არ განიხილება .
- 11.6. მას შემდეგ რაც შეკვეთას მიენიჭება სტატუსი, მხარეებს ერთმევათ წარმატებით განხორციელებული შეკვეთის პლატფორმის მეშვეობით გაუქმების უფლება. შეკვეთის გაუქმება შესაძლებელი ხდება მხოლოდ პლატფორმის ადმინისტრაციასთან დაკავშირების გზით;
- 11.7. მხარეთა მიერ შეკვეთის შესრულების შეუძლებლობისას, თუ ის გამოწვეულია ობიექტური საფუძვლით, შესაძლებელია მოხდეს შეკვეთის შესრულების გადადება, თუ ეს მისაღებია ორივე მხარისათვის; სხვა შემთხვევაში უნდა მოხდეს შეკვეთის გაუქმება;
- 11.8. შეკვეთა, რომელზეც რომელიმე მხარე არ მოახდენს რეაგირებას 72 საათის განმავლობაში, ავტომატურად გაუქმდება სისტემის მიერ.

## **12. შუამავლის პასუხისმგებლობა**

- 12.1. წინამდებარე შეთანხმების მხარეები (პლატფორმის რეგისტრირებული მომხმარებელი, პლატფორმის ადმინისტრაცია) პასუხს აგებენ წინამდებარე წესებისა და პირობებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისთვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- 12.2. პლატფორმის ადმინისტრაცია მუშაობს, რათა დარწმუნდეს პლატფორმაზე გამოქვეყნებული პროდუქციის შესახებ ინფორმაციის სიზუსტესა და სისწორეში, ამუშავებს მას –

უზრუნველყოფს არსებული ინფორმაციის შესწორებასა და ინფორმაციის სიმცირით გამოწვეული ნაკლოვანებების შევსებას, მათი აღმოჩენიდან რაც შეიძლება სწრაფად;

- 12.3. პლატფორმაზე პროდუქციის შესახებ განთავსებული ნებისმიერი ინფორმაცია წარმოდგენილია რეგისტრირებული მიმწოდებლის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ან/და განთავსებულია პლატფორმაზე თავისი პროფილის მიშვეობით. ინფორმაცია და პროდუქტების ან/და სერვისების აღწერილობები, პლატფორმაზე მოცემული პროდუქტებისა და სერვისების ყველა მახასიათებლის შესახებ ინფორმაცია შეიძლება სრული არ იყოს. შესაბამისად, პლატფორმის ადმინისტრაცია არ იღებს პასუხისმგებლობას პლატფორმაზე წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტესა და სისრულეზე, თუმცა მუდმივად მუშაობს იმისთვის, რომ პლატფორმის მეშვეობით მოწოდებულ იქნას ზუსტი, სრული და უტყუარი ინფორმაცია და უმოკლეს დროში იქნას აღმოფხვრილი ყოველგვარი უზუსტობა;
- 12.4. შუამავალი პასუხს არ აგებს, მხარეთა შორის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულებათა კეთილსინდისიერ და ჯეროვან შესრულებაზე, აგრეთვე, წარმოდგენილი პროდუქციის ხარისხსა და სხვა პირობების დარღვევით გამოწვეულ ზიანთან დაკავშირებით;
- 12.5. პლატფორმის ადმინისტრაცია პასუხისმგებელია პლატფორმის რეგისტრირებული მომხმარებლის პერსონალური მონაცემების დაცვაზე, აგრეთვე, პლატფორმის მეშვეობით განხორციელებული შესყიდვა/გაყიდვების (იჯარის) შესახებ ინფორმაციისა და კონკრეტული პირობების (ფასი, შესყიდული/რეალიზებული/იჯარით გაცემული (მიღებული) პროდუქციის რაოდენობა და სხვა) კონფიდენციალურობის დაცვაზე. მონაცემთა უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს პლატფორმის ადმინისტრაცია, პლატფორმის უსაფრთხოების სისტემების მეშვეობით; თუმცა პლატფორმის ადმინისტრაცია ვერ იქნება პასუხისმგებელი პლატფორმაზე არასანქცირებული შეღწევისა ან/და პლატფორმაზე განხორციელებული კიბერშეტევის შემთხვევებზე, აგრეთვე, სხვა ისეთ შემთხვევებზე, რაც პლატფორმის ადმინისტრაციის კონტროლის მიღმაა;
- 12.6. პლატფორმის რეგისტრირებული მომხმარებლის მიერ იმ პლატფორმის გამოყენება, რომელზეც რეგისტრირებული მომხმარებელი გადავა პლატფორმის მეშვეობით, ხდება იმ პლატფორმის წესებისა და პირობების შესაბამისად. ასეთი წესებისა და პირობების გამოყენება და უსაფრთხოების წესები იქნება განსხვავებული ამ პლატფორმის წესებისაგან და პირობებისაგან. რეგისტრირებული მომხმარებელი ყურადღებით უნდა გაეცნოს მესამე მხარის პლატფორმის წესებსა და პირობებს მის გამოყენებამდე. პლატფორმის ადმინისტრაცია არ აგებს პასუხს იმ ზარალზე, რომელიც რეგისტრირებულ მომხმარებელს შეიძლება მიადგეს მესამე მხარის პლატფორმის გამოყენებით;
- 12.7. პლატფორმის ადმინისტრაცია გასცემს ინფორმაციის კონფიდენციალურობასა და მონაცემების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით გარანტიებს წინამდებარე წესებისა და პირობების შესაბამისად. პლატფორმის ადმინისტრაცია ვერ გასცემს გარანტიას, რომ რეგისტრირებული მომხმარებელი შეძლებს ვებპლატფორმაზე შესვლასა და მისი მომსახურებით სარგებლობას ნებისმიერ სასურველ დროს ან ადგილას (რაც შეიძლება გამოწვეული იყოს პლატფორმის ადმინისტრაციისგან დამოუკიდებელი მიზეზებით);

12.8. პლატფორმის ადმინისტრაცია გამოიყენებს ყველა შესაძლებლობას იმისთვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ინტერნეტ-თაღლითობა და უზრუნველყოს მიღებული პირადი მონაცემების მაქსიმალური უსაფრთხოება.

### **13. კონფიდენციალურობა და უსაფრთხოება**

- 13.1. პლატფორმის რეგისტრირებული მომხმარებლის პერსონალური მონაცემები (როგორცაა კომპანიის რეკვიზიტები, საბანკო ანგარიშები, ნებისმიერი პირადი ინფორმაციის შემცველი მონაცემები) კონფიდენციალურია. პლატფორმის ადმინისტრაცია პასუხისმგებელია პლატფორმის რეგისტრირებული მომხმარებლის პერსონალური მონაცემების დაცვაზე;
- 13.2. კონფიდენციალური ინფორმაცია არ მოიცავს პლატფორმის რეგისტრირებული მომხმარებლის ლოგოსა და მისი საქმიანობის შესახებ მოკლე აღწერას, რომელიც მომხმარებლის რეგისტრაციისას (მასთან შეთანხმებით) განთავსდება პლატფორმაზე და საჯაროდ არის ხელმისაწვდომი პლატფორმის ნებისმიერი სტუმრისთვის;
- 13.3. პლატფორმის მეშვეობით პლატფორმის რეგისტრირებულ მომხმარებლებს შორის განხორციელებული შესყიდვების/გაყიდვების (იჯარის) შესახებ ინფორმაცია, კონკრეტული ხელშეკრულების პირობების (ხელშეკრულების ფასი, შესყიდული/გაყიდული ანდა იჯარით მიღებული პროდუქციის რაოდენობა და სხვა) ჩათვლით, კონფიდენციალურია. მონაცემთა უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს პლატფორმის ადმინისტრაცია, პლატფორმის უსაფრთხოების სისტემების მეშვეობით; ამასთან, პლატფორმის ადმინისტრაცია, პლატფორმის მეშვეობით განხორციელებული შესყიდვებისას დაფიქსირებულ ფასებს (შესყიდვის მხარეების იდენტიფიცირების გარეშე) გამოიყენებს პლატფორმის საბაზრო ფასების კვლევის სისტემისთვის.
- 13.4. პლატფორმის რეგისტრირებული მომხმარებლის მიერ, პლატფორმაზე თავისი პროდუქციის შესახებ განთავსებული ინფორმაცია და პროდუქციის ამსახველი სურათები ხელმისაწვდომია პლატფორმის მომხმარებლებისთვის.

### **14. მიმწოდებლის პასუხისმგებლობა**

- 14.1. მიმწოდებელმა, როგორც პლატფორმის რეგისტრირებულმა მომხმარებელმა, უნდა მიიღოს ყველა ზომა, რათა შეამოწმოს და დარწმუნდეს რომ ინფორმაცია, ტექსტი და მონაცემები, რომელსაც პლატფორმის ადმინისტრაციას აწვდის პლატფორმაზე განთავსების მიზნით ან თავად განთავსებს პლატფორმაზე პროფილის მეშვეობით, არის სწორი, ზედმიწევნითი და ზუსტი. პლატფორმის ადმინისტრაცია არ იღებს პასუხისმგებლობას იმ ზიანზე, რაც შეიძლება მიადგეს მესამე პირებს განთავსებული ინფორმაციის, ტექსტის ან მონაცემების უზუსტობის ან/და არასრულობის გამო;
- 14.2. მიმწოდებელი, როგორც პლატფორმის რეგისტრირებული მომხმარებელი იქნება პასუხისმგებელი, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შუამავლის დაზარალებაზე, დანაკარგზე, საჩივარზე ან მის მიმართ წამოყენებულ მოთხოვნაზე (ზომიერი კანონიერი გადასახადების ჩათვლით), რომელიც შეიძლება მიადგეს მას ამ წესებისა და პირობებისა დარღვევით ან/და ამ პლატფორმის მართლსაწინააღმდეგო გამოყენების გამო;

## 15. შემსყიდველის პასუხისმგებლობა

- 15.1. შემსყიდველის მიერ, პლატფორმის მეშვეობით, პლატფორმაზე განთავსებული კონკრეტული პროდუქციის შეძენა (იჯარით მიღება) ხდება პროდუქტის შესახებ მიმწოდებლისთვის შეკვეთის მოთხოვნის გაგზავნით, სადაც ის უთითებს სასურველი პროდუქტის რაოდენობას, მიწოდების სასურველ დროსა და შესყიდვის სხვა არსებით პირობებს. ხელშეკრულება საბოლოოდ დადებულად ჩაითვლება მხარეთა შორის შესყიდვის (იჯარის) არსებით პირობებზე (რაოდენობა, ფასი, მიწოდების დრო) შეთანხმების მიღწევის შედეგად, პლატფორმაზე „შეკვეთილია“ სტატუსის მინიჭების შემდეგ, რაც წარმოადგენს შემსყიდველისა და მიმწოდებლისთვის ვალდებულებათა წარმოშობის საფუძველს;
- 15.2. სანამ შემსყიდველი შეიძენს (იჯარით აიღებს) რაიმე პროდუქციას პლატფორმის მეშვეობით, ვალდებულია შეამოწმოს პლატფორმაზე პროდუქტის შესახებ განთავსებული დეტალური ინფორმაცია, რათა დარწმუნდეს, რომ პროდუქტი სრულად შეესაბამება მის მოთხოვნებსა და საჭიროებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში პლატფორმის ადმინისტრაცია არ იღებს პასუხისმგებლობას ზარალზე ან დანაკარგზე, რომელიც შეიძლება მიადგეს შემსყიდველს.
- 15.3. შემსყიდველი, როგორც პლატფორმის რეგისტრირებული მომხმარებელი იქნება პასუხისმგებელი, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შუამავლის დაზარალებაზე, დანაკარგზე, საჩივარზე ან მის მიმართ წამოყენებულ მოთხოვნაზე (ზომიერი კანონიერი გადასახადების ჩათვლით), რომელიც შეიძლება მიადგეს მას ამ წესებისა და პირობებისა დარღვევით ან/და ამ პლატფორმის მართლსაწინააღმდეგო გამოყენების გამო;

## 16. ფორს-მაჟორი

- 16.1. როგორც შუამავალი, აგრეთვე, პლატფორმის რეგისტრირებული მომხმარებელი, თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, თუ წინამდებარე წესებისა და პირობების შეუსრულებლობა გამოწვეულია რომელიმე მათგანის მხარეს დაუძლეველი ძალის მოქმედებით;
- 16.2. ფორს-მაჟორულ ვითარებაში იგულისხმება: სტიქიური უბედურებები, ხანძარი, მასობრივი არეულობები, გაფიცვები, საომარი მოქმედებები ან მხარეებისაგან დამოუკიდებელი სხვა გარემოებები;
- 16.3. ფორს-მაჟორულ ვითარებაში, აგრეთვე, იგულისხმება თავად რეგისტრირებულ მომხმარებელთან დაკავშირებით შექმნილი ისეთი გარემოებები, რომლებიც იწვევს მისი ნორმალური ფუნქციონირების შეფერხებას და ხელს უშლის/ შეუძლებელს ხდის მისი მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
- 16.4. პლატფორმის მიზნებისთვის ფორს-მაჟორულ ვითარებად განიხილება, აგრეთვე, პროგრამის, პლატფორმის სერვერის ან პლატფორმის სისტემის დაზიანება ან/და კიბერშეტევა პლატფორმის სერვერზე, რაც იწვევს პლატფორმის ნორმალური ფუნქციონირების შეუძლებლობას ან შეფერხებას;
- 16.5. თითოეული მხარე ვალდებულია, ფორს-მაჟორული მდგომარეობის წარმოშობიდან არაუგვიანეს 24 საათისა, აცნობოს მეორე მხარეს ამგვარი გარემოებების წარმოშობის შესახებ

და თუ შესაძლებელია, წარუდგინოს მისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია; გარდა ამისა, შეძლებისდაგვარად იზრუნოს ამგვარი გარემოებების აღმოფხვრაზე;

16.6. მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულება ჩვეულებრივ გრძელდება ფორს-მაჟორული ვითარების აღმოფხვრის შემდეგ.

### **17. დასკვნითი დებულებები**

17.1. რეგისტრირებულ მომხმარებელს არ აქვს უფლება, გადასცეს მესამე პირს წინამდებარე შეთანხმებით ნასკირი თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;

17.2. საკითხები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე წესებითა და პირობებით რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით;

17.3. წინამდებარე წესებისა და პირობების საფუძველზე და მასთან დაკავშირებული დავები წყდება ურთიერთმოლაპარაკებით. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, დავა განსახილველად გადაეცემა სასამართლოს.